ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ამ პროექტით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სკოლების რეაბილიტაცია. • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი ოროჯალარის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია • ნინოწმინდის #4 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი ფოკის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი ჯიგრაშენის საჯარო სკოლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირება/საწვავის/ბრიკეტების/შემის შესყიდვა • მოსწავლეთა ტრანსპორტირება • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ განძის №2 საჯარო სკოლა გათბობის სისტემის მოწყობა • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი გონდრიოს საჯარო სკოლა სახურავის რეაბილიტაცია • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი დილიფის საჯარო სკოლის შენობის და სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაცია • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი მამწვარის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი თორიის საჯარო სკოლის საპირფარეშოს სახურავის რეაბილიტაცია • სსიპ - ქ. ნინოწმინდის #3 საჯარო სკოლის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია • სსიპ- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. გორელგვის # 3 საჯარო სკოლის შენობის ცოკოლის ნაწილობრივი მოპირკეთება და საკლასო ოთახების კარების შეცვლა (4 ცალი) • სსიპ- ქ. ნინოწმინდის #1 საჯარო სკოლის სახურავის დაზიანებული ადგილების რეაბილიტაცია		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლები შეესაბამება არსებულ სტანდარტებს.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		3,330.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება		
	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიებებს გატარება.		

პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა, ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალისთვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 885 შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 80 %-ს შეადგენს.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლების დონის ამაღლება და მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა. სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,908.9 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,908.9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	702.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	702.0
05 01 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	240.0
05 01 01 02	ა (ა) იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ნინოწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლა	462.0
05 02	კულტურის ობიექტების დაფინანსება	867.6
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	867.6
05 02 01 01	ა (ა) იპ-ნინოწმინდის კულტურის ცენტრი	225.5

05 02 01 02	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მთავარი ბიბლიოთეკა	130.6
05 02 01 03	ა (ა) იპ-ნინოწმინდის სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება	85.6
05 02 01 04	ა (ა) იპ-ნინოწმინდის სამუსიკო სკოლა	275.0
05 02 01 05	ა (ა) იპ-ნინოწმინდის ვაჰან ტერიანის სახელე-მუზეუმი	52.2
05 02 01 06	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	43.4
05 02 01 07	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მუნიციპალური გაზეთი „არშალის“	55.3
05 03	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	80.0
05 04	ტრადიციული და კალენდარული დღესასწაულების ღონისძიებები	75.0
05 05	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	85.1
05 06	ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა	17.2
05 07	რელიგია	82.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01 01		240.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: ჭიდაობა, ფეხბურთი, კარატე, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი,თხილამური,მასობრივი ღონისძიება, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, ბილიარდი, ჭადრაკი, 7X7 ფეხბურთის ჩემპიონატის “MASTER LEAGUE”, კიგბოქსი. 2026 წლისათვის დაგეგმილი ღონისძიებებია: • სკოლის მოსწავლეთა შორის მინიფეხბურთი რაიონულ ჩემპიონატში • თადევოს არზუმანიანის ხსოვნისადმი სირბილი თხილამურის მე-7 • სასკოლო სპორტული ოლიმპიადა • ფრენბურთის ღია პირველობაში მოპოვებული გამარჯვებითვის • ნიკოლაი გრიგორიანის ხსოვნისადმი ბილიარდი მე-9 რაიონულ • ჭადრაკი მუნიციპალურ ჩემპიონატში • 7X7 ფეხბურთის ჩემპიონატი(მასტერ ლიგა) • მოყვარულთა ფეხბურთის ლიგა • სამცხე ჯავახეთის ჭიდაობის ღია ტურნირი(აშოტ ხნკოიან) • არტაშეს მარკოსიანის ხსოვნისადმი მიძღვნილიკი მინი ფეხბურთს ტურნირი მოსწავლეებს შორის • მინი ფეხბურთი საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის • ძმები გარსლიანის ფეხბურთის ტურნირი • ფრენბურთის ჩემპიონატი საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის		

- რაიონული ფრენბურთის ჩემპიონატის მერის თასი
- მაგიდის ჩოგბურთის ახალგაზრდული ჩემპიონატი ახალციხე-ახალქალაქი-ნინოწმინდა
- მინი ფეხბურთის რეგიონალური ჩემპიონატი
- სასკოლო სპორტული ოლიმპიადა(რეგიონალური)
- 16 წლის ზემოდ სპორტსმენების გაგზავნა რეგიონალურ და რესპუბლიკურ ტურნირებზე
- საუკეთესო სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოება
- რაგბი

მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. სპორტსმენთა წახალისება და დაჯილდოება.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის SDG 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ნინოწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01 02		462.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნა, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები მათ შორის:ჭიდაობა, ჭადრაკი, ფეხბურთი, ფუტსალი, კარატე, მ. ჩოგბურთი, კრივი, სათხილამური, კიგბოქსი .		
მოსალოდნელი შედეგი	ჯანსაღი სპორტული წესით დაინტერესებული მოსახლეობა. სპორტსმენთა წახალისება და დაჯილდოება.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის SDG 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		225.5

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება და ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება. კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ა (ა) იპ „კულტურის ცენტრი“-ს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის , განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა კულტურის სფეროში. კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობა
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მთავარი ბიბლიოთეკა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		130.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მოსახლეობის მოთხოვნების ინტერესების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა, ქალაქის და სოფლის ბიბლიოთეკების ხელშეწყობა; წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტება ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, ითვალისწინებს კულტურული ობიექტების მოძიებას.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და ინტერესების ზრდა საბიბლიოთეკო წიგნების ფონდის განახლების გზით.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		
ქვეპროგრამის	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის საოლქოსგარეშე აღზრდის	დაფინანსება ათას ლარში

დასახელება	05 02 01 03	დაწესებულება	85.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება. ქალაქ ნინოწმინდის სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრე, მათ შორის სამხატვრო, ქარგვის, ქსოვის, კერვის და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 04		275.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება, მუსიკალური კუთხით განვითარება. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 144 მოსწავლე. პროგრამის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუსიკის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. მუსიკალური ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის ვაჰან ტერიანის სახელე-მწიგნურობა	დაფინანსება ათას ლარში

	05 02 01 05		52.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სოფელ განძის ვაჰან ტერიანის სახელობის მუზეუმი.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება.კულტურულ ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 06		43.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ქ. ნინოწმინდაში ფუნქციონირებს „მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება თანამშრომელთა ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. კულტურულ ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მუნიციპალური გაზეთი არშალის	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 07		55.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		

სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მონიციპალიტეტის მოსახლეობის სრულყოფილი, ობიექტური და ზუსტი ინფორმაციის მოწოდება/ უზრუნველყოფა. რეგიონში, ქვეყანაში, მუნიციპალიტეტში პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, საგანმანათლებლო-კულტურულ და სხვა სფეროში მიმდინარე მოვლენების ინფორმირება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გაშუქება, მოსახლეობისთვის პრობლემატურ/ მწვავე ხასიათის საკითხების წამოწევა. ხელი შეუწყონ კულტურული ფასეულობების შესახებ ინფორმაციის გადაცემასა და შენარჩუნებას, საზოგადოებისათვის მისაწვდომი გახდეს ღირსეული მოქალაქეების შესახებ მასალების საშუალებით.
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდა შემოქმედთა აღმოჩენა და წახალისება. სომხურ - ქართული მეგობრების ხელშეწყობა და განმტკიცება.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 16 : მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		80.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის პროგრამით განხორციელდება განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიასა და ინტერნეტ პორტალებში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას. დაფინანსდება სატელევიზიო გადაცემა . პროგრამის ფარგლებში ფინანსდება პრესა და ადგილობრივი ტელევიზია, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცნობიერებას.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფორმაციის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. საინფორმაციო პროგრამებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 16 : მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტრადიციული და კალენდარული დღესაწაულების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 04		75.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება და სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა, მათ შორის: • სომხური ნამცხვარი "ქადის" ფესტივალი		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	• "ძალა ერთობაშია" - საზეიმო ღონისძიებები, მიმდევნილი საქართველოს გაერთიანების დღისადმი(საზეიმო სვლა ქ. ნინოწმინდა, ჰაიოს-ქართლოს პარკის მემორიალთან, ყვავილებით და გვირგვინებით შემკობა, თემატური კონცერტი) • დედა ენის - ქართული ენის დღე • სვლა სომეხი ხალხის გენოციდის მსხვერპლთა ძეგლთან , ყვავილებით და გვირგვინებით შემკობა • საზეიმო სვლა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ძეგლთან ქალაქის პარკში, ყვავილებისა და გვირგვინებით შემკობა • მუზეუმის საერთაშორისო დღე • ღონისძიებები მიმდევნილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი • ღონისძიება ობოლ არასრულწლოვან ბავშვებთან ერთად • ვ. ტერიანის პოეზიის ტრადიციული დღეები ს. განძაში • 08 აგვისტოს ომში გარდაცვლილი გმირების საპატივცემო ღონისძიება(საზეიმო სვლა ჰაიოს-ქართლოს პარკის მემორიალთან ყვავილებით და გვირგვინებით შემკობა) • ღონისძიება თემაზე „ გმირების დღე" • ვიკტორ ჰოვსეფიანის პოეზიის დღე სოფ. ჰეშტიაში • " ნინოწმინდაობა" (ქალაქის საზეიმო გაფორმება, სხვადასხვა გამოფენების ორგანიზება, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეთა დაჯილდოება, საპატიო სტუმრების გამასპინძლება) • შეხვედრა მშობლების გარეშე ბავშვებისა და შშმ პირების მონაწილეობით • შეხვედრა სკოლის მასწავლებლებთან • სომხეთში მიწისძვრის შედეგად მსხვერპლთა ხსოვნისადმი ყვავილების დადგმა ქ. ნინოწმინდის სურბ სარგის ეკლესიის ტერიტორიაში არსებულ მემორიალთან		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურისა და სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და განვითარება. კულტურულ, სპორტულ ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 05		85.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტში ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: • თოვლიანი ფიგურების კონკურს -ფესტივალი "ზღაპრების გმირები თოვლში" • ღონისძიება მიმდევნილი ვ. ტერიანის დაბადების 141 წლისთავს • საზეიმო ღონისძიება -მხატვრების ნახატების გამოფენა(გამოფენა ეძღვნება საქართველოს დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღეს) • ცეკვის ფესტივალი(ფესტივალში მონაწილეთა ტრანსპორტირება სოფლებიდან, სუკეთესო მოცეკვავეთა დაჯილდოება სიგელებით და საჩუქრებით) • ოჯახის საერთაშორისო დღე •(ჩემი სკოლის ისტორია) თემაზე ვიდეორგოლების კონკურსი საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის • ღონისძიება თემაზე „აირჩიე პროფესია სწორად" • მუნიციპალური ახალგაზრდული აქცია " ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა გასუფთავებისა და კეთილმოწყობის კვირა" • შეხვედრა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან (7 ახალგაზრდა) • ღონისძიება თემაზე „ ილია ჭავჭავაძეს პოეზიის დღე" • საახალწლო და საშობაო ღონისძიებები • 2026 წლის 20 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით ბაკურიანში ჩატარებული ახალგაზრდულ ბანაკში მონაწილეობის მიღების ხარჯები • „სკაუტური თავგადასავალი 2026“ საზაფხულო ბანაკში მონაწილეობის ხარჯების დაფინანსება		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		

კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 06		17.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დონეზე ქალისა და მამაკაცის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი საინფორმაციო და მხარდამჭერი ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია თანასწორობის პრინციპის ეფექტიან განხორციელებაზე. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტში ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: • კონკურსის მუნიციპალური ეტაპი „ საქართველო ჩემი სამშობლოა" • ქალთა საერთაშორისო დღე; მრავალშვილიან დედებთან შეხვედრა • მსოფლიო აქცია - დედამიწის დღესთან დაკავშირებით ახალგაზრდებსა და უფროსკლასელებს შორის • ექთანების საერთაშორისო დღისადმი შეხვედრა • ოჯახის საერთაშორისო დღისადმი შეხვედრა ახალგაზრდა მშობლებთან • მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიზნით ბუკლეტების მომზადება • ბავშვებისთვის გასართობი ღონისძიება • ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარების მიზნით ექსკურსიის მოწყობა დუხოზორების ისტორიულ მემკვიდრეობაზე • ახალგაზრდების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები(მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დარგის წარმატებული ახალგაზრდების შეკრება, მათი წახალისება, ახალგაზრდულ-გასართობი ღონისძიებების ორგანიზება ქ. ნინოწმინდის კულტურის ცენტრში) • ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარების მიზნით შემოქმედებითი სადამოს მოწყობა თემაზე: ჯავახეთი ადგილობრივი ხელოვნებისა და ფოტოგრაფების თვალით • „საქართველო ჩემი სამშობლოა" თემაზე კონკურსში გამარჯვებულებისთვის ექსკურსიის ორგანიზება • ღონისძიება გაეროს კონვენციის „ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ"მიღებასთან დაკავშირებით არასამთავრობო დ ასაზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ • სკოლის აქტივისტების გაცნობა ადგილობრივ ისტორიულ ძეგლებთან • სოფლების მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღისადმი შეხვედრის ორგანიზება • ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარების მიზნით სომხური და ქართული ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალი - საუკეთესო ნიმუშების დაჯილდოება სიგელებით, დიპლომებით და საჩუქრებით • მშვიდობისათვის ქალთა ბრძოლის საერთაშორისო დღის მიძღვნილი კონკურსი „ არასდროს არ იყოს ომი" თემაზე • ტოლერანტობის საერთაშორისო დღე- შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ახალგაზრდებს შორის • ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიება • შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის წარმატებულ ქალებთან		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გაძლიერდება ქალისა და მამაკაცის თანასწორი პრინციპების განხორციელება და გაუმჯობესდება მათი ჩართულობა საზოგადოებრივ და სოციალურ პროცესებში.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 16: გენდერული თანასწორობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგია	დაფინანსება ათას ლარში
	05 07		82.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა მათი გამართული ფუნქციონირებისათვის, ასევე ეკლესია მონასტრებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.		
მოსალოდნელი შედეგი	ეკლესია მონასტრების ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 16 : მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,986.7 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,986.7
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	244.2
06 01 01	ა (ა) იპ-წინოწმინდის საზოგადოებირვი ჯამრთელობის დაცვის ცენტრი	244.2
06 01 02	ახალი Covid-19 ინფექციის მართვისათვის გასატარებელი ღონისძიებები	
06 02	სოციალური პროგრამები	1,742.5
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხარჯები	950.0
06 02 02	ერთჯერადი ფინანსური დახმარება ორმხრივად და ცალმხრივად ობოლ ზავშვთა ოჯახებს და მრავალწევრიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს	150.0
06 02 03	შშმ პირების ფინანსური დახმარება	90.0
06 02 04	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების სოციალური დახმარება	5.0

06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	220.0
06 02 06	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა	20.0
06 02 07	გაჭირვებული ოჯახებისათვის საწვავის შეძენა	75.0
06 02 08	ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაჭირვებული ოჯახებისათვის	220.0
06 02 09	ვეტერანებისათვის ფინანსური დახმარება	12.5

პროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		244.2
პროგრამის განმახორციელებელი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.		
	ასევე განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები;		
	ა) C ჰეპატიტის ვირუსის მიმართ მარტივი მეთოდით ანტისხეულების განსაზღვრისთვის ტესტის ჩატარება		
	ბ) აივ ინფექცია/შიდსზე ექსპრეს დიაგნოსტიკისათვის ტესტის ჩატარება		
	გ) აქტიურ ტუბერკულოზზე სკრინინგისთვის პაციენტების გამოკითხვა სიმპტომების გამოსავლენად		
დ) ბენეფიციარის კონსულტირება სკრინინგამდე და ტესტის პასუხის მიღების შემდეგ;			
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების		

	მონიტორინგი და რეაგირება;
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა SDG 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხარჯები	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		950.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება		
	პროგრამის მიზანია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გაჭირვებული მოსახლეობის დახმარება, რათა მათ გაუადვილდეთ მათ წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემების მოგვარება. პროგრამა ითვალისწინებს დაფინანსებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 140 000-ს და ესაჭიროებათ სტაციონალური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება, დაფინანსდებიან სახელმწიფო დაზღვევის თანხის გადახდის შემდეგ დარჩენილი თანხის 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 3000 (სამი ათასი) ლარისა. - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 140 000-ს და ჩაუტარდათ სტაციონალური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება, დაფინანსდებიან სახელმწიფო დაზღვევის(საყოველთაო ჯანდაცვა) თანხის გადახდის შემდეგ დარჩენილი თანხის 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 3000 (სამი ათასი) ლარის - პირები, რომლებსაც სახელმწიფო დაზღვევით (საყოველთაო ჯანდაცვა) არ დაუფინანსდათ სტაციონალური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება, მომსახურების გაწევის შემდეგ, წარმოდგენილი პირადი ანგარიშისა და ქვითრის საფუძველზე დაფინანსდებიან გადახდილი თანხის 30%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1000(ათასი) ლარისა, თუ მათ აქვთ რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 140 000-ს. - პირები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და საჭიროებენ სტაციონალურ-ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, დაფინანსდებიან სახელმწიფო დაზღვევის თანხის გადახდის შემდეგ დარჩენილი თანხის 40% -ით, მაგრამ არა უმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა, იგივე პირობები ვრცელდება ქვითრის წარდგენისას. -პირები, რომლებსაც სახელმწიფო დაზღვევით არ დაუფინანსდათ სტაციონალური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება, მომსახურების გაწევის შემდეგ, წარმოდგენილი პირადი ანგარიშისა და ქვითრის საფუძველზე დაფინანსდებიანგადახდილი თანხის 20 %-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1000 (ათასი) ლარისა, თუ მათ არ აქვთ რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი მონაცემთა ერთიან ბაზაში. - ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება/სტაციონალური მკურნალობა, დაფინანსდება სახელმწიფო დაზღვევის თანხის გადახდის შემდეგ დარჩენილი თანხის 50%-ით 100 001-მდე სარეიტინგო ქულებით, მაგრამ არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა, ხოლო სარეიტინგო ქულების გარეშე სახელმწიფო დაზღვევის თანხის გადახდის შემდეგ, დარჩენილი თანხის 40%, მაგრამ არაუმეტეს 200 (ორასი) ლარისა, მხოლოდ 250 ლარზე მეტი თანხის გადახდის შემთხვევაში. - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ) დიალიზსა და ჰემოდიალიზზე მყოფ პირებს გაეწიოთ ფინანსური დახმარება 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, სარეიტინგო ქულების გარეშე, სამგზავრო ხარჯების დასაფარად. - ძვირადღირებული ანალიზებისა და გამოკვლევების ხარჯების დაფინანსება 140 001-ზე დაბალი სარეიტინგო ქულების ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განისაზღვროს შემდეგი სახით: ა) 0 ლარიდან 500 ლარამდე ღირებულების ანალიზები და გამოკვლევები დაფინანსდება გადახდილი თანხის 40%-ით; ბ) 500 ლარიდან 1000 ლარამდე ღირებულების ანალიზები და გამოკვლევები დაფინანსდება 300 ლარით; გ) 1000 ლარიდან 3000 ლარამდე ღირებულების ანალიზები და გამოკვლევები დაფინანსდება 600 ლარით; დ) 3000 ლარიდან 5000 ლარამდე ღირებულების ანალიზები და გამოკვლევები დაფინანსდება 900 ლარით;		
პროგრამის აღწერა და მიზანი			

	ე) 5000 ლარზე მეტი ღირებულების ანალიზები და გამოკვლევები დაფინანსდება 1200 ლარით. - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირებს, რომლებსაც აქვთ გენეტიკური გადახრები და ესაჭიროებათ სპეციალური სამედიცინო კვება, მიეცემათ ფინანსური დახმარება 100%-ით, მაგრამ არა უმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა. - პირებს, რომლებიც დაავადებულნი არიან პერიოდული, აუტოიმუნური (იგივე ხმელთაშუა ზღვის ცხელება(FMF)) დაავადებით, მკურნალობისათვის სოციალური დახმარება მიეცემათ ერთ პირზე 300 ლარი. - ონკოლოგიური დაავადებების (ავთვისებიანი სიმსივნე) მქონე პაციენტებს, რომლებიც შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში გადიან სათანადო მკურნალობას(სხვადასხვა სახის თერაპია), გაეწიოთ ფინანსური დახმარება 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო პირებს, რომლებსაც არ ესაჭიროებათ რაიმე სახის თერაპია, მაგრამ წლის განმავლობაში ესაჭიროებათ გამოკვლევების ჩატარება, გაეწიოთ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1 500(ათას ხუთასი) სარეიტინგო ქულების გარეშე. - იმ მოქალაქეებს, რომლებსაც პირველად დაუდასტურდებათ ონკოლოგია, გაეწიოთ ერთჯერადი დახმარება 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 500(ხუთასი) ლარისა, სარეიტინგო ქულების გარეშე; - თვალის დაავადებათა მედიკამენტოზური, ამბულატორიული, ოპერაციული მკურნალობის ხარჯები დაფინანსდება გაწეული ხარჯის 40%-ით, მაგრამ არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა იმ პირებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლებია 150 001-ზე. - 1 000 (ათასი) ლარზე მეტი ღირებულების ანალიზებისა და გამოკვლევების (ბიოფსია, ძვლის ტვინის გამოკვლევა, პეტ კატე, რაც არ ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან) ხარჯების 40%-იანი დაფინანსება, სარეიტინგო ქულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გარეშე, მაგრამ არაუმეტეს 1 500 (ათას ხუთასი) ლარისა. - 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება/სტაციონალური მკურნალობა, დაფინანსდება სახელმწიფო დაზღვევის თანხის გადახდის შემდეგ დარჩენილი თანხის 60%-ით, მაგრამ არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა. - ბრონქიალური ასთმით დაავადებულ პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით წელიწადში - გულისა და სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პირთა მიერ, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს, წლის განმავლობაში თანადაფინანსება განისაზღვრება 200 ლარის ოდენობით. - გაფანტული სკლეროზით დაავადებულ პირთა მიერ, წლის განმავლობაში, შეძენილი მედიკამენტების საფასურის თანადაფინანსება წლის განმავლობაში განისაზღვრება 50%-ით, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა. - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 0-დან 18 წლამდე ასაკის აუტიზმის სპექტრის ბავშვთა დიაგნოზის განსაზღვრის მიზნით ჩატარებული გამოკვლევების თანადაფინანსება 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 0-დან 18 წლამდე ასაკის აუტიზმის სპექტრის ბავშვთა ადრეული განვითარების/რეაბილიტაცია/აბილიტაციის, აგრეთვე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა შეძენილი დაავადების შემთხვევაში, მკურნალობის შემდგომი რეაბილიტაციის თანადაფინანსება განისაზღვრება წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების საფასურის 40%-ით, მაგრამ არაუმეტეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობისა.
მოსალოდნელი შედეგი	გაჭირვებული მოსახლეობისათვის შესაძლებლობის ფარგლებში შექმნილი შეღავათიანი გარემო. მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა, კმაყოფილი მოსახლეობა.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)	SDG 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა SDG 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის

პროგრამის დასახელება	კოდი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება ორმხრივად და ცალმხრივად ობოლ ბავშვთა ოჯახებს და მრავალწევრიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		150.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება		
	პროგრამის მიზანია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გაჭირვებული მოსახლეობის დახმარება, რათა მათ გაუადვილდეთ მათ წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემების მოგვარება. პროგრამა ითვალისწინებს დაფინანსებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები • მარჩენალდაკარგულ არასრულწლოვან პირს, რომელიც რეგისტრირებულია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გაეწიოს ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით სარეიტინგო ქულების გარეშე“. • მარჩენალდაკარგულ პირებს, რომლებიც სკოლის შემდგომ სწავლას გააგრძელებენ (მათ შორის 26 წლის ასაკამდე)		

